




ხაშურის მთაშვე



№31 (112)

14 აგვისტო, ორშაბათი, 2017 წელი

დიმიტრი ყიფიანის სახელობის პრემიის ლაურეატები გამოვლინდნენ



ხაშურის მუნიციპალიტეტის საპატიო ჯილდოს - „დიმიტრი ყიფიანის სახელობის პრემიის“ მისანიჭებლად გამოცხადებული კონკურსის სამუშაო ჯგუფმა პირველი სხდომა გამართა. სხდომას ესწრებოდნენ ჯგუფის წევრები: ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ვაჟა შუბითიძე, პროფესორი ზურაბ ცუცქერიძე, ხაშურის მუნიციპალიტეტის სამუხეუმო გაერთიანების დირექტორი თამაზ ლაცაბიძე, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი კონსტანტინე ფრუიძე, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის სპეციალისტი დოდო ლაცაბიძე.

პირველ სხდომაზე კონკურსის სამუშაო ჯგუფმა განიხილა შემოსული განცხადებები აღნიშნული პრემიის მინიჭებასთან დაკავშირებით.

მეორე სხდომაზე ჯგუფმა ნომინანტები გამოავლინა. სხდომის გადაწყვეტილებით, ხაშურის მუნიციპალიტეტის საპატიო ჯილდო – დიმიტრი ყიფიანის სახელობის პრემია მიენიჭათ: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, თამაზ ჯოლოგუას, დიმიტრი ყიფიანის ცხოვრებისა და შემოქმედების კვლევისათვის და ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, თამარ მიქაძეს, დიმიტრი ყიფიანის შემოქმედების კვლევისა და მუნიციპალიტეტის წინაშე დამსახურებისათვის.

პრემია ორ წელიწადში ერთხელ გაიცემა და მისი ოდენობა შეადგენს 2500 ლარს.

გვირგვინებით შეამკეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა განსასვენებლები

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი გურასპაშვილმა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ვაჟა შუბითიძემ და მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლებმა 2008 წლის აგვისტოს ომის გმირების საფლავები და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული მებრძოლების მემორიალი გვირგვინებით შეამკეს.

2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომმა ხაშურის მუნიციპალიტეტიდან სამი ახალგაზრდის სიცოცხლე შეიწირა.

ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენის კავალერი -კაპრალი დავით ბლიაძე ქეიშხეთშია დაკრძალული, კაპრალი ზაურ მახარაშვილი, რომელსაც გარდაცვალების შემდეგ მედალი “მხედრული მამაცობისთვის” გადაეცა, მისი მშობლიური სოფლის - ოსიაურის სასაფლაოზეა დაკრძალული, ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენის კავალერი, კაპრალი გიორგი წიქარიშვილი კი თბილისის ძმათა სასაფლაოზე განისვენებს.

“აგვისტოს ომის გმირების სიმამაცე და თავდადება სამაგალითოა თითოეული ჩვენგანისა და მომავალი თაობებისთვის”, - აღნიშნა მუნიციპალიტეტის გამგებელმა გმირებისთვის პატივის მიგებისას.



ჩვენს მუნიციპალიტეტში ალალოთიან დასახლებათა რაოდენობა გაიზარდა



ჩვენი მკითხველისათვის ცნობია, რომ ხაშურის მუნიციპალიტეტში, მთავრობის დადგენილებით, 33 დასახლებას ჰქონდა მაღალმთიანის სტატუსი. ეს სოფლებია: წაღვლი, კლდისწყარო, ტიტგინისწყარო, ყობი, ჩორჩანა, წვედგერი, იმერლიანთკარი, დიდი ხავლეტი, დიდი ყელეთი, პატარა ყელეთი, ნადარბაზვეი, პატარა ხალები, ღართა, სარტყელა, ალექსანდრესწყარო, რბონა, დამხეულა, ქაშუეთი, კოდისწყარო, ჯვარმუნა, დიდი ფლევი, პატარა ფლევი, ტკოცა, ცეღანი, ცივწყარო, დუმაჯხოვი, კლდისწყარო, უწლევი, დიდი თხილნარა, პატარა თხილნარა, ნარუჯები, დუდა, დანძილები.

ამ დღეებში, მთავრობის №356 დადგენილებით, ამ სიას ჩვენი მუნიციპალიტეტის კიდევ ოთხი სოფელი დაემატა: წაბლოვანა, ბუღბუღისციხე, ბელეთი და რუსაანთუბანი.

ამრიგად, ჩვენს მუნიციპალიტეტში დღეისათვის მაღალმთიან დასახლებათა სტატუსი 37 სოფელს აქვს.

მთავრობის ახალი პროგრამა სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას და მათთვის კეთილდღეობის შექმნას შეუწყობს ხელს

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლებმა, მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-სადოვრების რაციონალურად გამოყენების სახელმწიფო პროგრამის საკითხზე, ხაშურის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობასთან შეხვედრა გამართეს. შეხვედრას ესწრებოდნენ შიდა ქართლში სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორის მოადგილე სიმონ გულედანი, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი გურასპაშვილი, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაშურის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსი ჯემალ გელაშვილი, მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობის წარმომადგენლები.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლებმა მსმენელებს დეტალურად გააცნეს პროგრამით გათვალისწინებული პირობები. კერძოდ, პროგრამის ფარგლებში, რომელსაც სოფლის მეურნეობის სამინისტრო რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან ერთად ახორციელებს, რაციონალურად და სწორად მოხდება სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული სათიბ-სადოვრების გამოყენება. ამ მიზნით, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს, რომელთა წევრების რაოდენობა არანაკლებ 11 მეპაიეს შეადგენს და მფლობელობაში არანაკლებ 200 სული ფური ან/და დეკეული გააჩნიათ, იჯარით გადაეცემათ სათიბ-სადოვრები და შესაბამისი აღჭურვილობა - ტრაქტორები, სათიბები და სხვა საჭირო ინვენტარი. კოოპერატივებს ერთ სულ ფურზე ან/და დეკეულზე არანაკლებ 0,5 და არაუმეტეს 2 ჰექტარი სათიბი გადაეცემა, ხოლო სადოვრის ფართობი - ერთ სულ ფურზე ან/და დეკეულზე არანაკლებ 1 და

არაუმეტეს 2 ჰექტარი. „მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-სადოვრების რაციონალური გამოყენება“ კიდევ ერთი სახელმწიფო პროგრამაა, რომელიც სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას და მათთვის კეთილდღეობის შექმნას შეუწყობს ხელს, - აღინიშნა შეხვედრაზე.



დაათვალიერეს ინფრასტრუქტურული პროექტების სამუშაოები

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი გურასპაშვილმა გამგეობის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროს სერგო ლალიაშვილთან და ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი გიორგი პაპიაშვილთან ერთად, მუნიციპალიტეტში მიმდინარე და დასრულებული ინფრასტრუქტურული პროექტები დაათვალიერა. კერძოდ, სოფელ ხცისში მინისტრადიონის მშენებლობა, ალში-საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის სამუშაოები, ახალშენში-გზის მოხრეშვა-მოშანდაგების სამუშაოები და სოფელ ალში-უკვე დასრულებული მოასფალტებული ცენტრალური გზა.

გამგებელი მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლებთან ერთად სოფელ სავანისუბანშიც იმყოფებოდა, სადაც ამჟამად გაზიფიცირების სამუშაოები მიმდინარეობს.

სოფელ ხცისში მინისტრადიონის რეაბილიტაციისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 59 244 ლარი გამოიყო, პროექტი მნიშვნელოვანია, რადგან მისი განხორციელება ხელს უწყობს ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციას და დამკვიდრებას. სტადიონის რეაბილიტაცია მიმდინარე წლის სექტემბერში დასრულდება. სოფელ ალში საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია რეგიონული განვითარების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარეობს. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება 212 976 ლარს შეადგენს. პროექტის დასრულება მიმდინარე წლის ნოემბრის დასაწყისშია დაგეგმილი. სააღმშრდელი დაწესებულება ორ ჯგუფზე იქნება გათვლილი და 70 ბავშვის მიღებას შეძლებს.

სოფელ ალში გზის მოასფალტებისთვის 399 000 ლარი გამოიყო, პროექტი უკვე დასრულებულია, რაც უსაფრთხო და კომ-

ფორტული გადაადგილებას უზრუნველყოფს. აღსანიშნავია, რომ აღის მოსახლეობამ განსაკუთრებული მადლობა გადაუხადეს გამგებელ გიორგი გურასპაშვილს და მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლებს ალში გზის მოასფალტების პროექტის ხარისხიანად განხორციელებისთვის.



აქცია ხაშურის საავადმყოფოში, რომელიც თურმე... არც ყოფილა(!)

რედაქციაში შემოვიდა ინფორმაცია, ხაშურის საავადმყოფოს მედპერსონალის საპროტესტო აქციის შესახებ, ცხადია, ვითარებაში გასარკვევად, შემთხვევის ადგილზე გავედით. იქ მისულს, ჩვეული სამუშაო რეჟიმი დაგვხვდა. მიმღების პერსონალმა, დამიდასტურა ფაქტი და აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორების კენ, გინეკოლოგიური განყოფილების კენ გადაამამისამართა. მტრის ხატად შექმნილი



ქ უ რ ნ ა ლ ი ს ტ ი ს დანახვა არავის გახარებია, კარიდან კარზე მითითებდნენ, არც თუ ზრდილობიანი ფორმით. ბოლოს გინეკოლოგიის განყოფილების უფროსს ვესტუმრე, სკამზეც უნებართვოდ მოვიკალათე (რადგან არავის შემოუთავაზებია) და შევეცადე ჩემთვის და საზოგადოებისთვის საინტერესო

ინფორმაციის მიღებას, რისი უფლებაც, მოგვსენებათ, მქონდა. ბატონმა ზვიად ობოლაძემ, უკვე დაშოშინებული, დაპირებამიცემული აქციის არსებობა უარყო, რადაც უმნიშვნელო ფაქტს ჰქონდა ადგილი, ჩემი თანამშრომლები არც ჩასულანო-იქვე მომირახუნა მოკლე და არაფრისმთქმელი ინფორმაცია. იგივე პათოსი გაიმეორეს თანამშრომლებმაც. მაგრამ ჟურნალისტიკისთვის კეთილმისურველ ინფორმატორებს რა დაღვეს, გაზადაგზა შეგროვილ მასალას თავი მოვუყარეთ და აღმოჩნდა, რომ:

კომპანიის “ალიანს მედ სერვისის” მფლობელობაშია, რომელიც რამდენიმე თვის დაგვიანებით გასცემს ხელფასებს და ეს ერთეული ფაქტი არაა. მედპერსონალს აპრილის შემდეგ, ხელფასები არ მიუღიათ, ამასთანავე, ორი კვირის წინ, საავადმყოფო გაიყიდა და “ევექსის” მფლობელობაში გადავიდა, რომელიც 11 სექტემბრიდან ოფიციალურად შეუდგება საქმიანობას. მედპერსონალის პროტესტი არსებული მფლობელის წინააღმდეგ გაიმართა, ისინი კუთვნილი დავალიანების დაფარვას მოითხოვდნენ, რადგან ახალი მფლობელის მოსვლის შემდეგ, ძველ მფლობელს შესაძლოა თავიდან აერიდებინა სახელფასო დავალიანების გაცემის პასუხისმგებლობა. როგორც აღმოჩნდა, საპროტესტო აქცია, მას შემდეგ დაიშალა, როდესაც მოქმედმა მფლობელებმა აქციის მონაწილეებს დავალიანების ეტაპობრივად დაფარვას დაპირდნენ მათი უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე და მაისის თვის ხელფასის უახლოეს დღეებში ჩარიცხვას. აქციის მონაწილეები კი, თავის მხრივ, პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში, სექტემბერში უკვე სასამართლოს მიმართავენ-ეს იყო ინფორმაცია, რომლის მოწოდებასაც ვითხოვდი და რომელიც მანამდე უკვე გასცეს სხვა საინფორმაციო არხებისთვის. შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ საპროტესტო აქციაში მთელ მედპერსონალს არც მიუღია მონაწილეობა და ინტერესები აქაც გაყოფილი იყო. თანამშრომელთა ის კატეგორია, რომელიც უხეშად მიცილებდა თავიდან და კარისკენაც მიმითითებდა, მოქმედი მმართველის ინტერესებს ემსახურებოდა და მრავალთვიანი გაუცემელი ხელფასები, არასახარბიელო პირობები, მათთვის პრობლემას არც წარმოადგენდა. ისიც კი თქვეს ჩემთან საუბარში, რომ ეს ჩვეული ფორმაა და თბილისის ბევრ საავადმყოფოსაც აქვს მსგავსი პრობლემები და იქაც რამდენიმე თვეში ერთხელ გაიცემა ხელფასები-არადა, ხელფასების რაოდენობა, მართლაც სასაცილოა-180-240 ლარს ელოდებიან თვეობით, მათ უკან ოჯახები და ის პაციენტები დგანან, რომლებიც ითხოვენ მომსახურების მაღალ ხარისხს და მათთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რომელი კომპანია მუშაობს ცუდად და რომელი არიდებს თავს პასუხისმგებლობებს. საავადმყოფო არის დაწესებულება, რომელსაც შეცდომები არ ეპატიება და რომელსაც ყველაზე მთავარ ღირებულებას, სიცოცხლეს ვანდობთ და მე, როგორც რიგით მოქალაქეს და ადამიანს, ნაკლებად მაინტერესებს ფინანსური ბიუროკრატია, გაუმართავი სამედიცინო მენეჯმენტი, კადრების არაკვალიფიციურობა, მე ვითხოვ ხარისხს, მე ვითხოვ პიროვნების პატივისცემას!

თ. ჯავახიშვილი

ზოგიერთი ცნობა სურამის შესახებ

(მასალები წიგნისათვის „სურამი“)

სურამში დასახლების კვალი ჩვენს წელთაღრიცხვამდე საკმაოდ დიდი ხნის წინ არის ნაგარაუდვე. ამ ადგილებში ადამიანს ადრე ბრინჯაოს ხანიდან უცხოვრია, ამაზე მეტყველებს ის არქეოლოგიური მასალა, რომელიც აქ შემთხვევით არის მოპოვებული. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ თვით სურამი ანტიკური ხანის ქართლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ქალაქს წარმოადგენდა.

როგორც ცნობილია, შორეულ წარსულში, სურამზე გადიოდა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიმავალი მნიშვნელოვანი სავაჭრო-საქარაგნო გზა. ადრეანტიკურ ხანაში, სავაჭრო ურთიერთობა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს შორის წარმოებდა სურამის უღელტეხილით, რასაც ადასტურებს 1856 წელს სურამში აღმოჩენილი ძვ.წ.ად-ის VI-V საუკუნეების ვერცხლის აქემენიდური სიკილა კოლხურ „თეთრთან“ ერთად. როგორც ჩანს, მონეტები სურამში მოხვდა სწორედ სურამის უღელტეხილის მეშვეობით. ამავე პერიოდში, აღნიშნული უღელტეხილით, ბერძნული იმპორტი იტრება აღმოსავლეთ საქართველოში, ხოლო ელინისტური ხანიდან, როცა ვაჭრობა იღებს ე.წ. „მსოფლიო“ ხასიათს და მასში არა მხოლოდ მცირე აზია, მესოპოტამია და ეგვიპტე არამედ შუა აზიის ქვეყნები, ინდოეთისა და ჩინეთის შორეული რაიონებიც ემბება, იქმნება ერთიანი დიდი სავაჭრო-საბრუნავო გზა ინდოეთიდან ფაზისისაკენ.

ამ გზის შესახებ ცნობები ჯერ კიდევ IV-III საუკუნეების ბერძენი ისტორიკოსებისა და გეოგრაფების - არისტობულის, პატროკლეს, ერატოსთენეს შრომებში გვხვდება. სტრაბონი მათ ცნობებს ასე გადმოგვცემს: „არისტობულე ოქსოსს (მდ.ამუდარია) მიიჩნევს უდიდეს მდინარედ. არისტობულე და ერატოსთენეც ამბობენ, რომ ეს მდინარე სანაოსნოა და ამ მდინარით ბევრი ინდური საქონელი შემოაქვთ პირკანის (კასპის) ზღვაში, ხოლო აქედან ალბანიაში გადააქვთ და შემდეგ მტკვრითა და მის მომდევნო ადგილებით ექსონის (შავ) ზღვაში ჩააქვთ“.

ამრიგად, „ინდური საქონელი მდ. ამუდარიით ჩაჰქონდათ კასპის ზღვაში და იქიდან მტკვრით ამოჰქონდათ აღმოსავლეთ საქართველოში. აქედან კი უკვე ხმელეთით - სურამის უღელტეხილით - ეზიდებოდნენ დასავლეთ საქართველოში, სადაც საქონელი მდ. რიონით შავი ზღვის სანაპირო ქალაქებს, კერძოდ, ფაზისს ანუ ფოთს აღწევდა“.

სწორედ ამ გარემოებას უნდა განვიხილოთ სურამის ქალაქად ჩამოყალიბება, მისი ზრდა და განვითარება. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ სურამის, როგორც ქალაქის აღმოცენება იწყება ძვ.წ.ად-ის IV-III საუკუნეების მიჯნაზე, ხოლო III საუკუნის ბოლოსთვის მას უკვე მკვეთრად გამოხატული ქალაქური იერსახე უნდა მიეღო.

სხვათა შორის, ზემოთ აღნიშნული გზის არსებობასა და მდინარე მტკვრის სანაოსნო გამოყენებას ადასტურებს სოფ. ცხრაბუხასთან ახლოს მდ. მტკვარში XIX ს-ის 90-იან წლებში ნაპოვნი გემის ღუზა. 1890 წლის 1 სექტემბერს გახეთი „ივერია“ წერდა: „როგორც შევიტყუეთ ს. ცხრაბუხას ახლო, გორის მახრამში, მტკვარში მეტივეებს უპოვნიათ ერთი ღუზა... სულ უძველეს დროს, როგორც ისტორიკოსები ვიცით, მტკვარზე იალქინიანი გემები დადიოდნენ და სურამს ახლო, ცხრაბუხასა და ქვიშეთს შუა, ნავოსადგური ყოფილა გამართული. ნაპოვნი ღუზა გემისაა. ეს ახლად (ნაპოვნი) ღუზა ცხადად ამტკიცებს ძველის ისტორიკოსების გარდამოცმას, რომ კასპის ზღვიდან სურამამდე საქონელი გემებით გადაჰქონდათ და მტკვარი სანაოსნო მდინარე იყო“.

მოგვიანებით ამ ფაქტს "სახალხო გახეთი" მიუბრუნდა და 1913 წლის 9 იანვარს გამოაქვეყნა მღვდელ ქრისტოფორე ციციქოვილის მცირე მოცულობის წერილი - "მტკვარში ნაპოვნი ღუზა", რომელშიც კითხულობთ: "ქართულ საეთნოგრაფიო საზოგადოების დაჯავლებით, 29 დეკემბერს 1912 წელს ავედი სურამის ახლო მდებარე სოფელ ბუკაშში, სადაც მღვდელს იოანე ციციქოვლს ჰქონდა შენახული ძველი ღუზა, რომ ეს ჩამომეტანა ტვილისში. ეს ღუზა უპოვნია ამ ოცდახუთი წლის წინად სოფელ სავანლის ტეხრის გლეხს ბადრიაშვილს მდინარე მტკვარში სოფელ ტაშისკარის ახლო. ამ გლეხს ტივი მოჰქონებია, ტივი წამოსდებია ღუზის კაპს და გაჩერებულა. მეტივეს გაუთავისუფლებია ტივი და უნახავს წყლიდამ ამოშვერილი რკინა. დაუბამს კამეჩები ამ რკინისათვის, გამოუთრევია ნაპირზე, წამოუღია შინ სავანლის-ტეხერში და დაუგდია თავის ეზოში. მერე ეს გლეხისათვის უცნაური რკინა უნახავს მღვდელს მამა იოანე ციციქოვილს, შეუცვანია ღუზად, შესყიდნია და მოუტანა თავის სახლის ეზოში, სადაც ვეღო მას შემდეგ დღემდე. დღეს ეს ღუზა ჩამოტანილია ტვილისში და გადაცემულია საისტორიო-ეთნოგრაფიის საზოგადოებისადმი, რომელსაც დღევანდელმა პატრონმა ღუზისა უფასოდ შესწირა

ღუზა წონით რვა ფუთია. ჰქონია ოთხი კაპი, რომელთაგან ორი მოსტეხია. სიგრძით იქნება ორი არშინი.

ჩემის ფიქრით წმინდა რკინისა არ უნდა იყოს, რადგანაც ჟანგს მაგრე რიგად ვერაფერი დაუკლია.

თუ ეს რკინა მართლა ძველი დროის ღუზა გამოდგა, ძალიან შესანიშნავ ისტორიულ განმად ჩაითვლება, რადგანაც იგი იქნება დამამტკიცებელი საბუთი იმ ძველი ცნობისა, რომ უწინ გემები დადიოდნენ მდინარე მტკვარზე და რომ გემებით ინდოეთის საქონელი ამოჰქონდათ სურამამდე, აქედან ხმელეთით გადაჰქონდათ შორაპნამდე და მერე ისევ გემებით ჩაჰქონდათ შავ ზღვამდე. ეს მდინარეები, უნდა ვიფიქროთ, მაშინ ერთი-სამად და ერთი-ხუთად მეტ იქნებოდა დღევანდელთან შედარებით. იმედია, მცოდნე პირები დაათვალიერებენ აღნიშნულ ღუზას და თავის აზრს გამოსთქვამენ“.

ზემოაღნიშნულთან ერთად, სურამის დაწინაურებას ხელს უწყობდა აგრეთვე ქართული სინამდვილეც. სურამზე გამავალი საქარაგნო გზა აკავშირებდა და აახლოებდა აღმოსავლეთ, დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს რეგიონებსაც. შიდა სავაჭრო ურთიერთობებიც ამ გზით წარმოებდა, რაც თავის მხრივ ხელს უწყობდა სურამის დაწინაურებას.

სურამის ასეთმა სტრატეგიულმა მდებარეობამ, საერთაშორისო და საშინაო სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში მისმა აქტიურმა ჩართვამ განაპირობა აქ ქალაქის წარმოშობა და განვითარება. აქედან გამომდინარე, შეიძლება, ვივარაუდოთ, რომ აქ ციხე-სიმაგრე სწორედ სურამის ქალაქად გადაქცევისთანავე აიგო, რადგან ეს აუცილებლობით იქნებოდა გამოწვეული. კერძოდ, აუცილებლობას წარმოადგენდა სურამზე გამავალი გზების ხელთქონება და კონტროლი, რომლის განხორციელებაც ციხე-სიმაგრის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა.

აქვე, სურამში, მისი გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით, იმთავითვე უნდა ვივარაუდოთ საბაჟოს არსებობაც, რაც შემდგომში, გვიანდელი პერიოდის არაერთი დოკუმენტით დასტურდება. როგორც ცნობილია, საბაჟო იქ არსებობს, სადაც ციხე-სიმაგრეა. ამავე პრინციპით უნდა ყოფილიყო გამართული საბაჟოები ხაშურის დღევანდელ რეგიონშიც. აქ არსებული სამივე საბაჟო ფუნქციონირებს იქ, სადაც ციხე-სიმაგრე, ან რაიმე თავდაცვითი ხასიათის ნაგებობაა (მაგალითად, კოშკი). აღის საბაჟო-აღის ციხეშია, ტაშისკარისა-ტაშისკრის კოშკში, სურამის საბაჟოც, რა თქმა უნდა, სურამის ციხე-სიმაგრეში უნდა ყოფილიყო განთავსებული და მასზე დაყრდნობით მოეხდინა თავისი ფუნქციების განხორციელება.

სურამზე უნდა საუბრობდეს ცნობილი ბერძენი გეოგრაფი და ასტრონომი კლავდიოს ფტოლემოსი (ახ.წ.ად-ის II ს-ის 20 -60-იანი წლები) თავის „გეოგრაფიის სახელმძღვანელოში, როცა ქართლში (იბერიაში) ასახელებს პუნქტს - სურა (ნ. ლომოური, 1955, გვ. 46).

გამოთქვავენ მოსაზრებას, რომ ფტოლემოსის მიერ დასახელებული სურა შეიძლება, აწინდელ სურამთან დავაკავშიროთ.

ფიქრობთ, ეს მოსაზრება გასაზიარებელი უნდა იყოს, რადგან იგივე ავტორი კოლხეთში ასახელებს სურიუმს (იქვე, გვ.45).

გვიანანტიკური (III-V სს.) და ადრეფეოდალური ხანის (V-X სს.) სურამის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება. როგორც ქართული, ასევე უცხოური წყაროები მის შესახებ არაერთი ინფორმაციას არ გვაწვდის. სურათი იცვლება განვითარებული ფეოდალიზმის დასაწყისიდან. X ს-ის მიწურულსა და XI ს-ის დასაწყისში საქართველო პოლიტიკურად გაერთიანდა და ქვეყანა აღმაშენებლის გზას დაადგა. ეს გამოიხატებოდა ეკონომიკურ დაწინაურებაში, რაც აისახებოდა სოფლის მეურნეობის, ვაჭრობა-ხელოსნობის, საქალაქო ცხოვრებისა და სხვა ფაქტორების განვითარებაში.

ძალზე საინტერესო სურათთან გვაქვს საქმე საქალაქო ცხოვრების განვითარების თვალსაზრისით. IX-X სს- ში საქართველოში ადგილი აქვს ძველი ქალაქების (არტანუჯი, დმანისი და სხვა) აღმშენებლასა და ახალი ქალაქების (ახალქალაქი, თმოგვი, ოლთისი, თელავი, სხვა) ჩამოყალიბების პროცესს. ამ დროიდან ქვეყნის ცხოვრებაში კვლავ ჩნდება სურამი.

ქართულ ისტორიოგრაფიაში, წერილობით წყაროებზე დაყრდნობით, გამოთქმულია მოსაზრება, რომ სურამი განვითარებული ფეოდალიზმის დასაწყისში - XI-XII საუკუნეებში წარმოშობილი ქალაქია.

XII ს-ის 60-70 იანი წლებიდან XIV ს-ის II ნახევრამდე სურამი და მისი ციხე- სიმაგრე სამეფო კარის მიერ საგამგებლოდ გადაცემულია მასთან დაახლოებული ფეოდალური გვარისათვის, რომელიც სურამლების სახელით არის ცნობილი საქართველოს ისტორიაში. სურამი და მისი ციხე-სიმაგრე სწორედ სურამელთა რეზიდენციას წარმოადგენდა. ქართლის ერთსავე-ერთსათვის სახელის დაკარგვასთან ერთად სურამლებს თავიანთი რეზიდენცია - სურამიც უნდა ჩამოეთმოდათ. უნდა ვივარაუდოთ, რომ სურამი ამ დროიდან სამეფო კარის განკარგულებაში გადავიდა და საუფლისწულო მამული ხდება.

იტრიის დეთისმშობლის ეკლესიის მშენებლობის დასრულების შემდეგ (XVI ს-ის 80-იანი წლების დასაწყისი) დოროთეოს კათალიკოსი თავის ცნობილ სიგელში აღნიშნავს: „...გარდახდეს ჟამნი რაოდენიმე, ბატონი გამოეცვალა სურამსა მოვიდა მეფეთ-მეფის ბატონის სვიმონის პირმშო ძე, და ღმრთისაგან შეეყვარებული და საღმთო - საკაცობოში ზნესრული“.

მართალია, ეს ფაქტი საკმაოდ დაშორებულია სურამლების მოღვაწეობის ეპოქას, მაგრამ გვაფიქრებინებს, რომ სურამი უკვე კარგა ხანია, სამეფო ქალაქია და სამეფო სახლის წარმომადგენელი განაგებს - ან დედოფალი, ან ბატონიშვილი. სვიმონ მეფის ტყვეობაში ყოფნის დროს (1569-1578 წწ.), საფიქრებელია, რომ სურამი სვიმონის შემცველი ქართლის მეფის დაუდ ხანის ოჯახის წევრის მფლობელობაში იყო. სვიმონის ქართლში დაბრუნების შემდეგ კი, სურამი, როგორც საუფლისწულო მამული მისი ძის გიორგი ბატონიშვილის მფლობელობაში გადავიდა და ამაზე უნდა მიგვანიშნებდეს დოროთეოს კათალიკოსის სიტყვებიც: „ბატონი გამოეცვალა სურამსა“ და იქვე მიუთითებს, რომ ეს ახალი ბატონი „მეფეთ-მეფის ბატონის სვიმონის პირმშო, ძეა“.

სურამი, რომ უკვე დიდი ხნის სამეფო მამულია. ამაზე უნდა მეტყველებდეს ერთი ფაქტიც. დოროთეოს კათალიკოსმა 1525-1527 წლებში გიორგი IX-გან იყიდა „სურამის პირსა სოფელი ნიტრია, დიდის ფასითა, აზნაურნი იქ მსახლობლნი“ და ა.შ. ე.ი. სურამი და მისი შემოგარენი სახელმწიფოს ხელშია და სამეფო კარი განაგებს, იგი განკარგავს.

სხვათაშორის, უფრო ადრე, ბაგრატ VI 1465-1467 წლებს შორის, სურამი შესწირა მთის წმინდა გიორგის ეკლესიას. შეწირულობის სიგელის თანახმად, ბაგრატ VI მთის წმინდა გიორგის უახლებს დავით აღმაშენებლისა და მისი ძის - დემეტრეს შეწირულობებს. ამავე დროს მოაჭედვინა და განუახლა ეკლესიას ხატები, შესწირა გლეხები და იქვე მიუთითებს „ აწ, ახლად შემოგწირეთ და დაგიმკუიდრეთ... ფონას ნოზებანიძე მათით მზღვრითა სამართლიანითა. ამა პირსა ზედან სურამი ვისი გინდა იყოს, მეპართლომეს მეტსა კაცსა ხელი არავის შეუვიდოდეს, არავის არა“.

ინტერესეს იწყევს მთის წმინდა გიორგის მდებარეობის საკითხი. ბაგრატ VI-მ სურამი, როგორც ზემოთ ითქვა, მას შესწირა, თანაც ასეთი პირობით: „ვისი გინდა იყოს“, ე.ი. ვისიც უნდა იყოს.

ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, მთის წმინდა გიორგი რაჭაშია. რაჭაზე საუბრის დროს, იგი არაერთხელ მიუთითებს წმინდა გიორგის მთაზე. მდ. რიონის შენაკადის - ძმუის - მუყუღეთის ხევის აღწერისას აღნიშნავს, რომ იგი „... გამოსდის წმიდის გიორგის მთას“ (ვახუშტი, აღწერა... 1974, გვ.762), ან „... ტოლის ხეცს ზემოთ მიერთვის ბარულას ხევი რიონს სამხრდიამ“, რომელიც „სდის წმიდის გიორგის მთას“.

რაჭის საზღვრებზე საუბრისას ვახუშტი აღნიშნავს, რომ წონიდან წამოსულ მთას, არაპნსა და დღნორამდე „...საერთოდ უწოდებენ რაჭის მთას, ხოლო განყოფით დღნორს ზეით წმიდის გიორგისას“.

ოკრიბას საზღვრების აღწერისას ვახუშტი კვლავ მიუთითებს წმინდა გიორგის მთაზე.

რაც შეეხება ეკლესიას. რაჭის აღწერისას ვახუშტი აღნიშნავს, რომ „ამას (ხიდისკარის, წესის, ნინიას ციხის - თ.დ.) ზეით მოერთვის რიონს სამხრდიამ ხევი ბარულა. გამოსდის კეცების მთას, დის ჩრდილოთ კერძ. ამ ხეცს ერთვის ჩონისის ხევი დასავლეთიდან. ამავე ბარის წყალს ზეით არს მთაში მრავალძალს ეკლესია წმიდის გიორგისა და ჯუარი დიდი ოქროსი, სასწაულთ - მოქმედი“.

თ. ლაცაბიძე

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

კომუნისტები და სოფლის მეურნეობა

დღეს, ხშირად გაიგონებ კომუნისტური რეჟიმის დროინდელი ადამიანებისგან: „რა ქვეყანა დაანგრის?“ „საათივით აწყობილი იყო ყველაფერი“, „აფსუს, აფსუს“ და სხვა. სინამდვილე კი სულ სხვაა: ის უკვე თითქმის დანგრეული იყო. განსაკუთრებით მიიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა სოფლის მეურნეობა, რომელიც მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან კრიზისულ მდგომარეობაში შევიდა და „კომუნისტების მშენებელი“ საბჭოთა ხალხი „საძულველი“ კაპიტალისტების მიერ მოყვანილი პროდუქციით იკვებებოდა. 80-იან წლებში კი ღრმა კრიზისი დაიწყო. დიდი რუსეთი შიმშილის ზღურბლზე იდგა. კომუნისტური მიწათმფლობელობის წესი კრახს განიცდიდა. იგი მარცხდებოდა კაპიტალისტურ-ფერმერულ მეურნეობასთან ბრძოლაში. საზოგადოებრივი საკუთრება დამარცხდა კერძო საკუთრებასთან ჭიდილში.

მოვიყვან მაშინდელი პრემიერის რეჟივის გამოსვლის ნაწყვეტს ერთ-ერთ ყრილობაზე: უკანასკნელ ათ წელიწადში, თურმე, 80-ზე მეტი დადგენილება იქნა მიღებული სოფლის მეურნეობის საკითხებზე. აგროსამრეწველო კომპლექსის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის. ამას, რა თქმა უნდა, ახლდა უზარმაზარი კაპიტალ-დაბანდებანი. 1953 წლიდან 80-იან წლებამდე 61 მილიარდი მანეთი იქნა გამოყოფილი.

ამ თანხით სასწაულის მოხდება შეიძლებოდა, მაგრამ მოხდა პირიქით. სოფლური საინტერესო შრომა გადაიქცა არაპრესტიჟულ და დაცინვის საგნად.

დასავლეთის ისტორიკოსები მიიხვედნენ, რომ 1922 წელს, კოლექტივიზაციის დაწყებით სსრ კავშირში საფუძველი ჩაეყარა ბატონყმობას. გლეხი, თითქმის სახელმწიფოს ყმა გახდა. მას არ გააჩნდა პასპორტი და, ამდენად, არ შეეძლო სოფლიდან წასვლა.



საკოლმეურნეო შრომა იმთავითვე საძულველი გახდა. ვერ ნახავდით ადამიანს კოლმეურნეობისთვის არ ეგინებინა. სკოლაში მასწავლებლები პირველი კლასიდანვე აშინებდა მოსწავლეებს - „არ ისწავლი? იქნით თოხი კოლექტივში“

არადა, სოფლის მეურნეობა მანამდე სწორი გზით ვითარდებოდა. გაჩნდნენ

გამრჯე, მოაზროვნე გლეხები, რომლებმაც საკუთარი შრომითი დანახოვებით გააფართოვეს საკუთარი მეურნეობები და ჩამოყალიბდნენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების მთავარ მწარმოებლებად.

კომუნისტურმა რეჟიმმა კი, პირველ რიგში, ამ ადამიანებს შეუტია და მათი ლიკვიდაცია მოახდინა (მიღებული იქნა დადგენილება „კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაციის შესახებ“) არაფერს არ მოერიდნენ. შეუბრალებლად მოსპვეს მდიდარი გლეხი. ადარაფერს ვამბობ ისეთ საშინელებაზე, როგორც იყო უკრაინაში 4 მილიონი ადამიანის შიმშილით სიკვდილი.

კოლმეურნეობაში კი დიდი ზარ-ზეიმით შეჰყარეს უღატაკესი გლეხობა, რომელთაც დასაკარგი არაფერი ჰქონდათ და მათი მართვა ძალიან იოლი იყო. შედეგი. რაღაც 50 წლის განმავლობაში, სოფლის მეურნეობა კატასტროფულად ჩამორჩა დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებს.

ვისთვისაც არ უნდა გეკითხა მიზეზებზე, რომელიც სოფლის მეურნეობის დაბალ მწარმოებლობას იწვევდა, დავისახელებდნენ: დაბალ ხელფასს, კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების დაბალ დონეს, ცუდ ტექნიკურ შეიარაღებას...

მაგრამ ეს არ იყო მთავარი მიზეზი. ვფიქრობ, მიზეზი ის არასწორი გლობალური

განგარიშები იყო, რომელიც ცხოვრებამ უარყო. ეს ის იდეოლოგიური დოგმატია, რომელმაც დანგრევამდე მიიყვანა ე.წ. სოციალიზმი. მე, რა თქმა უნდა, პრეტენზიას არ ვაცხადებ ამ დოგმების მეცნიერულ გაშუქებაზე. შევეხები ზოგიერთ მათგანს, რომლებიც ათწლეულობით იყო გაბატონებული.

მთავარი და ალბათ ყველაზე საშინელი, ეს იყო რწმენა სოციალისტური ეკონომიკის არასასაქონლო ხასიათისადმი. ღირებულების კანონის უარყოფამ, საბოლოოდ, შეუძლებელი გახდა საბაზრო ეკონომიკა, რამაც გამოიწვია მწარმოებლური ძალების ნორმალური კავშირების გაწყვეტა.

მიემართო სტატისტიკას (თუმც კომუნისტები მას არასდროს აქცევდნენ დიდ ყურადღებას) 1980-იან წლებში დაეცა 2,9 მილიონი მსხვილფეხა პირუტყვი, 7,5 მილიონი ღორი, 10 მილიონზე მეტი ცხვარი. როგორც ვხედავთ, სახსრები უზაროდ იხარჯებოდა და უწყებრივი ამბიციები ღუპავდა ყველაფერს. სოფლის მეურნეობაში შრომა გახდა არა მარტო უაზრო, არამედ ამორალური. აბა, როგორ უნდა ავსხნათ ის, რომ უზარმაზარი ნაწილი მათი შრომისა იკარგებოდა მათ თვალწინ, ვინც აწარმოებდა. ასეთ შემთხვევაში, ზოგიერთ შემთხვევაში კარგად გამოვლიდა გამბედაობა ემტიციებისა, რომ სოფლის მეურნეობის განვითარება შეიძლებოდა საბაზრო ეკონომიკის გარეშე.

მეორე მთავარი მიზეზი (დოგმა), რომელმაც გამოიწვია სოფლის მეურნეობის ჩამორჩენა, იყო რწმენა იმისა, რომ მისი განვითარება განისაზღვრებოდა საკუთრების ფორმის სწორი არჩევანით. ამან ბოლშევიკებს უბიძგა იქითკენ, რომ ძალით გაატარეს კოლექტივიზაცია და შემდეგ ძალით შექმნეს საბჭოთა მეურნეობები, რამაც სოფლის მეურნეობა ნანგრევებამდე მიიყვანა.

როდესაც კომუნისტებმა დაინახეს, რომ მიწათმფლობელობის არსებული წესი კრახს განიცდიდა, დაიწყეს იჯარული წესის შემოღება, მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა, რადგან აქ გასარკვევი იყო ვის ეკუთვნოდა შრომის ნაყოფი.

ერთ-ერთი მიზეზი კიდევ სოფლის მეურნეობის ჩამორჩენისა იყო გაბატონებული აზრი, რომ საზოგადოებრივ მეურნეობას შეეძლო ეარსებოდა რენტაბელობის მიუხედავად, რასაც საბოლოოდ აბსურდამდე მიყვავდით.

წარმოვიდგინოთ უბრალო მაგალითი: 1 ჰექტარზე უნდა აწარმოო 10 ც. ხორბალი, მიწის დამუშავებას უნდა 1 ტონა საწვავი მაინც, 200 კილოგრამი თესლი, ტექნიკა, შრომა, სხვა ხარჯები და სულ 10 ცენტერი ხორბლისთვის. მაშინ, როდესაც 1 ტონა ნაეთობი, რომ გაგეიდა საზღვარგარეთ უფრო მეტ ხორბალს იყიდდი.

სახელმწიფო კი რას აკეთებდა? მეურნეობდა ამ უსაშინლეს ოპერაციას, ამ გამალარობებელ შრომას და დროდადრო ახდენდა უზარმაზარი დავალიანების ჩამოწერას. სკკპ XVIII ყრილობაზე, დელეგატების ტაშის გრიალში!!! 70 მილიარდი მანეთის ჩამოწერა მოხდა.

დაბოლოს ერთ-ერთი დამღუპველი თეზისი, რომელიც ბევრის შეგნებაში მტკიცედ იყო დამკვიდრებული. გლეხი - კოლმეურნე ეჭვს არ იწვევდა. გლეხი - მესაკუთრე კი, ხალხის მტერია, რომელიც უნდა გაანადგურო მორალურად, ფინანსურად და თუ ეს არ მოკლავს მას, გაუსწორდები ფიზიკურად. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ასე მოსპვეს სსრ კავშირში უზარმაზარი მწარმოებელი მასა.

მოხდა ისე, რომ საწარმოო ძალები ძალიან ჩქარა მოვიდა წინააღმდეგობაში წარმოებით ურთიერთობებთან - კპსს -თან, „კოსპლანთან“ და თაღლითურ ნომენკლატურასთან. სწორედ ამ ადამიანებმა, უფრო სწორად თაღლითებმა, იურიდიულად გააფორმეს ბულოვესკიში მსოფლიოში უდიდესი იმპერიის დასასრული.

რუსებს რომ ჰყოლოდათ ისეთი გაბედული რეფორმატორი, როგორც იყო დენ სიაო-პინი ჩინეთში, ალბათ სხვაგვარად განვითარდებოდა მოვლენები.


შეიძლება ამ წერილის წამკითხველს შეეკითხვა დაეხადოს, რატომ არ ვითარდება დღეს საქართველოში სოფლის მეურნეობა. მიწაზე ხომ კერძო საკუთრებაა, მართალიც იქნება, მაგრამ ამ საკითხზე შემდეგ ვისაუბროთ.

კლიმენტი სუთიაშვილი, ისტორიკოსი

„მომაველის სახლის“ ბენეფიციარები ჩამატობაში სტინან ძალაპს

9 აგვისტოს, ბორჯომის ხეობაში, გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი ჯომარდობაში, სადაც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებმა შშმ პირებმა. ტრადიციული ჩემპიონატი „ახალგაზრდული მედიაკავშირის“ ორგანიზებით გაიმართა, რომელიც შშმ პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციას უწყობს ხელს. მეორე წელია ამ ჩემპიონატში „მომაველის სახლის“ ბენეფიციარებიც იღებენ მონაწილეობას, ჩვენი გუნდი გასულ წელს ერთი, წელს კი სამი ბენეფიციარით იყო დაკომპლექტებული, რომელთაც საშუალება მიეცათ ადაპტირებული ნაგებობით ჩართულიყვნენ ჩემპიონატში. მონაწილე 20 გუნდიდან, 5 შშმ პირებით იყო წარმოდგენილი. ლოკაცია ჩითახევი. სპეციალური მოთელვის შემდეგ, მონაწილეებისთვის ნამდვილი აზარტი დაიწყო, მიუხედავად დიდი მონდომებისა, წელსაც დავთმეთ პირველობა თავდაცვის შშმ გუნდთან, თუმცა, შედეგი და დროის მანქვებელი სამომავლო ოპტიმიზმს მაინც იძლევა.

ია გასიშვილი (მომაველის სახლის წარმომადგენელი):
—მოგეხსენებათ, მეორე წელია ვიდებთ მონაწილეობას, წელს ჩვენი სახლის სამი, ძალიან ყოჩაღი ბავშვი მონაწილეობს, მათთან ერთად,



ჩვენი ქალაქის კულტურის სფეროს წარმომადგენლები. დიდი ფინანსური დახმარება გაგვიწია ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, რომ არა მათი კეთილი ნება, შესაძლოა, ვერც მიგველო მონაწილეობა. არადა, ხედავთ, როგორი ბედნიერები



და კმაყოფილები არიან ბავშვები, მათთვის მსგავსი ღონისძიებები, ძალიან მნიშვნელოვანია, რათა საზოგადოების რულფასოვან წევრებად იგრძნონ თავი და ჩვენი საზოგადოებაც უფრო ღლიადურად განეწყოს მათ მიმართ.

მიზანი მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის წარმომადგენლები ადგილობრივ მცირე და საშუალო მეწარმეებს შეხვდნენ. შეხვედრას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ზურაბ ჩხიტიანი, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაშურის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსი ჯემალ გელაშვილი, მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლები, დაინტერესებული პირები.

შეხვედრის მიზანი იყო ევროპასთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შეთანხმებასთან დაკავშირებული ახალი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენებასა და გამოწვევებთან მცირე და საშუალო მეწარმეების ადაპტაციის ხელშეწყობა.

შეხვედრა პროექტ „მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება და DCFTA საქართველოში“ ფარგლებში გაიმართა. პროექტი, რომელიც გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამის „კერძო სექტორის განვითარება სამხრეთ კავკასიაში“ მიერ ევროკავშირის თანადაფინანსებით ხორციელდება, მიზნად ისახავს მცირე და საშუალო მეწარმეობის გაძლიერებას საქართველოში, რათა გაიზარდოს ამ სექტორის კონკურენტუნარიანობა. პროექტი ოთხი კომპონენტისგან შედგება: 1. მეწარმეობის განვითარების ჩარჩო-პირობების გაუმჯობესება; 2. მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერაზე ორიენტირებული ინსტიტუტების განვითარება; 3. მეწარმეობის ხელშეწყობა ბიზნეს-კლასტერებისა და ბიზნეს-ქსელების მხარდაჭერის გზით; 4. ბიზნეს-კლასტერებისა და ბიზნეს-ქსელების ინტეგრირება ევ-

როკავშირის შესაბამის, მეწარმეობის განვითარებაზე, ინვესტირებასა და ვაჭრობის ხელშეწყობაზე ორიენტირებულ შესაბამის ქსელებში.

- პროექტი მოამზადებს ნიადაგს მცირე და საშუალო მეწარმეობის გაძლიერებისთვის ფართომასშტაბიანი ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად, აღინიშნა შეხვედრაზე.



2025...2030 წელი - მსოფლიოს პირველი ფლეიტისტი ნანუკა გოლიაძე... რატომაც არა?!

ჩვენმა დღევანდელმა პატარა რესპოდენტმა უკვე არნახულ წარმატებას მიაღწია, 14 წლის ნანუკა გოლიაძე უკვე შემდგარი ფლეიტისტია. მსოფლიოს არაერთი დიდებული სცენა თუ საკონცერტო დარბაზი გახდა მისი ნიჭიერების თანაზიარი და ბევრიც მოუნუსხავს მისი ფლეიტის ჰანგებს. საქართველოს სახელი საერთაშორისო ასპარეზზე ფართოდ გაიგნა, მთელი რიგი კასკადი წარმატებისა ჯერ კიდევ წინ აქვს. ნანუკა ხაშურელი შემოქმედის, კომპოზიტორის და თავისი პროფესიის უბადლო მცოდნის, ლიანა ტატიშვილის ღირსეული შვილიშვილია. მუსიკა მის გენეტიკურ კოდში ღრმად ჩაიბუჭდა და როგორც თვითონ ამბობს, ფლეიტა მისი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. ნანუკას მიღწევებსა და საერთაშორისო აღიარებებზე უფრო ვრცლად, ინტერვიუდან შეიტყობთ.

- ნანუკა, რატომ აირჩიე ბევრისთვის ეს „უცხო“ მუსიკალური ინსტრუმენტი?

- ფლეიტაზე დაკვრა ბებოს(ლიანა ტატიშვილის) რჩევით დავიწყე. ოთხი წლის განმავლობაში ვუკრავდი ბლოკ-ფლეიტაზე, რადგანაც თავიდანვე ფლეიტაზე დაკვრა არაა რეკომენდებული, საჭიროა ფილტვები სათანადოდ მომზადდეს. ბოლო სამწელიწადნახევარია რაც ფლეიტაზე ვუკრავ. ვმეცადინებო აქტიურად, მთელი შემართებით, ვცდილობ, გავაკეთო მაქსიმალური, საუკეთესო შედეგის მისაღწევად.



- როგორც ვიცით, ნიჭიერთა ათწლეულში სწავლობ?

- დიახ, ასეა. ამჟამად, ვსწავლობ „ხაქარია ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლის „ნიჭიერთა ათწლეულში“. ჩემი პედაგოგია პროფესორი მერი ჟვანია, რომელიც დაუღალავად შრომობს ჩემი წარმატებისთვის. ასევე მყავს, შესანიშნავი კონცერტმეისტერი მარინა იაკობიშვილი - უშრეტო ენერჯით, ის ყოველთვის ჩემი თანმხლებია კონცერტებსა და კონკურსებზე, ისევე, როგორც მერი ჟვანია. არ შემიძლია არ აღვნიშნო დედაჩემის წვლილი ჩემ მუსიკოსად ჩამოყალიბებაში, ის ყოველთვის მხარში მიდგას მორალურად, ფიზიკურად და ფინანსურად. აღვნიშნავ ქალბატონი ესმა ქირიას როლსაც, ის ნიჭიერთა ათწლეულის დირექტორის მოადგილეა, რომელიც დაუღალავად შრომობს ჩემი და სხვა მოსწავლეების წარმატებისათვის, ის შესანიშნავი პედაგოგია და ძალიან წარმატებულ მოსწავლეებსაც ზრდის. ყოველთვის ცდილობს, რომ ნიჭიერთა ათწლეული ამართლებდეს იმ სახელს და იმიჯს, რაც მას წლების მანძილზე ჰქონდა. მოგეხსენებათ, ლიანა ისაკაძე, ელისო ბოლქვაძე, ხატია ბუნიათიშვილი სხვა წარმატებული მუსიკოსები ნიჭიერთა ათწლეულის კურსდამთავრებულნი არიან. დღესდღეობით, სკოლას 500 მდე მოსწავლე ყავს და ყოველწლიურად 3-4 კონკურსზე მაინც აღწევენ ჩემი მოსწავლეები წარმატებას. აგრეთვე, თამარ მიქაძე, ჩემი მეზობელი ძალ-ღონეს არ იშურებს იმისათვის, რომ მოაწესრიგოს სახელმწიფოებს შორის ურთიერთობა მუსიკალურ სამყაროში და წარმოაჩინოს ათწლეულის წარჩინებულნი და ნიჭიერი ახალგაზრდები. ნოდარ ჟვანია, ათწლეულის დირექტორი სახელმწიფოს სიმებიანი ორკესტრის ალტისტი, ესენი, სწორედ ის ადამიანები არიან, რომელთა მხარდაჭერასაც ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობ, მადლობა მათ ამისთვის.

- მოგიყვები იმ კონკურსებზე და კონცერტებზე, რომელშიც მონაწილეობა მიგიღია?

მას შემდეგ, რაც ფლეიტაზე დაკვრა დავიწყე, მრავლად იყო კონცერტები, კონკურსები, ფესტივალები, მასტერკლასები, რომლებიდანაც მივიღე უდიდესი გამოცდილება. პირველი წარმატება იყო „Amerikan protege-ს საერთაშორისო ვოკალური კონკურსი“, დაუკარი კარნევი ჰოლის სცენაზე და დავიკავე მეორე ადგილი. ასევე იყო მუსიკოს-შემსრულებელთა კონკურსი, რომელსაც ატარებს მანანა დოიჯაშვილი, ქართველი პიანისტი, პროფესორი, საქართველოს მუსიკალური კონკურსების ფონდის დირექტორი. ამ კონკურსში მონაწილეობას იღებდნენ მხოლოდ თექვსეტი წლიდან, გამომდინარე აქედან, მე ვიყავი როგორც კონკურსგარეშე მონაწილე და გავიმარჯვე კიდევ, გაეხდი საუკეთესო კონკურსგარეშე მონაწილე. მივიღე საფრანგეთის საელჩოს პრიზი, მუსიკალური ცენტრი. შემდეგი იყო იტალიის ქალაქ პადუაში გამართული საერთაშორისო კონკურსი, რომელიც ტარდებოდა სხვადასხვა კატეგორიებში: ჩასაბერებში, მევიოლინეებში, სიმებიანში და ჩემს კატეგორიაში - ფლეიტისტებში. ამ კონკურსზე ავიღე მეორე ადგილი, საკმაოდ კარგი კონკურსი იყო და კონკურენტებიც ძლიერი მყავდა. მონაწილეობა მივიღე თბილისში გამართულ „მოცარტის საერთაშორისო კონკურსზე“, რომელიც ვალერიან შიუკაშვილის ორგანიზატორობით ჩატარდა, ამ კონკურსზე მივიღე გრანპრი. ასევე „გრანპრი“ მოვიპოვე თბილისში გამართულ საორკესტრო საკრავების კონკურსზეც. მომდევნო იყო გერმანიის ქალაქ მიულაგერში საერთაშორისო კონკურსი, იქ მივიღე აბსოლუტური პირველი პრემია, რომელიც გრანპრზე მაღლამდგომი ჯილდოა. შემდეგ იყო ბულგარეთის ქალაქ ვარნაში ფლეიტისტთა საერთაშორისო კონკურსი, სადაც დავიკავე მესამე ადგილი, ამ კონკურსის ეიურის თავჯდომარე გახლდათ, სოფიის ფილარმონიის ორკესტრის პირველი ფლეიტა ძალიან დიდი ხნის მანძილზე და თავისი საქმის პროფესიონალი, პროფესორი ლილია ოშაკოვა, რომელმაც სურვილი გამოთქვა ჩემთან თანამშრომლობაზე სამომავლოდ. აქვე მინდა აღვნიშნო მაგდალენა კუნის, პოლანდიის ცნობილი ფლეიტისტის წვლილი იმ საქმეში, რომელსაც საქართველოსთვის აკეთებს, მთელი წლის განმავლობაში მისი ორგანიზაცია პოლანდიაში ატარებს კონცერტებს, შეგროვებული თანხით კი ჩამოდის საქართველოში და ბავშვებს სხვადასხვა ინსტრუმენტებით ასაჩუქრებს. რიგით მეორე ფლეიტისტთა საერთაშორისო ფესტივალზე, რომელიც მისი ორგანიზატორობით გაიმართა წალკაში, მეც ვმონაწილეობდი, შევექმნით ფლეიტისტთა ანსამბლი, რომელიც წარუდგინეთ მსმენელს. კონცერტზე იმყოფებოდა პოლანდიის ელჩიც. საჭირო მასტერკლასებიც მივიღე მაგდალენა კუნისთან. მესამე ფესტივალი უკვე წყალტუბოში გაიმართა, მაგდალენამ კუნმა გამოავაზა პროგრამა ღვეტებისა და ანსამბლებისათვის. მე და ჩემმა მეგობარმა ნიკა კვლაპტრიშვილმა დავიკავეთ პირველი ადგილი ჩვენს კატეგორიაში და მივიღეთ ფულადი თანხები. ქალბატონმა მაგდალენამ ფლეიტა გადასცა წყალტუბოს სამუსიკო სკოლას. ვისარგებლბ შემთხვევით და მადლობას გადავუხდი მათ სამუსიკო სკოლას, რომელმაც უდიდესი დახმარება გაგვიწია ფესტივალის პერიოდში, ყოველდღე, 10-დან 6 საათამდე ყველა კლასი გვეკავა მონაწილეებს და საკონკურსოდ ვმეცადინებოდათ. შემდეგი იყო ფლეიტისტების მესამე ფესტივალი, რომელიც ჩატარდა „რონდო კლასიკის“ ფარგლებში, ამ ორგანიზაციას საფუძველი ჩაუყარა კონსერვატორიის პროფესორმა მანანა ქანთარია და ჩემმა პედაგოგმა მერი ჟვანიამ.

- ნანუკა, ფინანსურ მხარდაჭერას ვისგან იღებ?

- ამერიკაში როდესაც ვიყავი, „კარნევი ჰოლი“, დამაფინანსა კულტურის სამინისტრომ 8000 ლარით, ბულგარეთში, კონკურსზე გამგზავრების ხარჯებიც მანვე თავის თავზე აიღო, რისთვისაც დიდი მადლობა მათ. დავამატებ, რომ კულტურის სამინისტრო ძალიან დიდ საქმეს აკეთებს იმ მხრივ რომ, აფინანსებს ნიჭიერ ბავშვებს საქართველოდან, საერთაშორისო კონკურსებზე.

- ჩვენ ბევრი რამ ვიცოდით შენი წარმატების შესახებ, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, ამდენს არ ველოდით. როგორც ჩანს, მსოფლიოს ცნობილ ფლეიტისტებში უკვე „შინაურად“ ითვლები...

- გეტყვით, რომ მიღებული მაქვს უამრავი მასტერკლასი ისეთი ვირტუოზებისგან როგორებიც არიან: დუსელდორფისა და კიოლნის კონსერვატორიის ფროფესორი მიხაილ ფაუსტი, ასევე, ფელაქს რენგლი, რომელიც უმაღლესი რანგის ფლეიტისტია. მაქვს ასევე მასტერკლასები ლილია ოშაკოვასთან და მასთან მუშაობას დღემდე ვაგრძელებ. მისი წყალობით შევხვედი ემანუელ პაიუსს, მსოფლიოს პირველ ფლეიტისტს. პლოვდივში ჩატარდა ეს კონცერტი, ლილიამ გააცნო ჩემი ემანუელ პაიუსს, როგორც ნიჭიერი ახალგაზრდა ფლეიტისტი. ვუთხარი მას, რომ ვარ საქართველოდან და საკმაოდ დიდი მანძილი გამოვიარე, რათა მის კონცერტზე მოვხვედრილიყავით, რისთვისაც დიდი მადლობა გადაგიხიხადა.

2025...2030 წელი - მსოფლიოს პირველი ფლეიტისტი ნანუკა გოლიაძე... რატომაც არა?!

დასასრული)

ვიმედოვნებ, რომ ერთხელაც ჩემ შესრულებას მოისმენს. ამასთან, იგი ძალიან ბევრ კონკურსებსა და მასტერკლასებს ატარებს. მაგალითად, პარიზში მას აქვს ფესტივალი, სადაც თავად ემანუელ პაიუ, ლიზა ბათიაშვილი-ქართველი მევიოლინე და მისი მეუღლე ფრანსუა ლელუ - ჰობოისტი ფესტივალის მონაწილეებთან ერთად ცხოვრობენ, ორი კვირის მანძილზე ატარებენ მასტერკლასებს, ახლოდებიან. ძალიან დიდი სურვილი მაქვს, რომ ერთ დღესაც მეც ამ კონკურსანტებს შორის მოვხვდები.

- მუსიკალურ ნაწარმოებებს შესასრულებლად თვითონ ირჩევ?
- ზოგადად, ფლეიტა ძალიან რთული ინსტრუმენტია, შესაბამისად, მასზე დაკვრაც ძნელია. ნაწარმოების შერჩევის დროს, მთლიანდ მასწავლებელზე ვარ დამოკიდებული, მას ვენდობი. ასე ვთქვათ, სხვადასხვა ნაწარმოებებს თავის შესრულების დრო აქვს, ამიტომ, მეც ჩემი ასაკის შესაფერის ნაწარმოებებს ვასრულებ. თუმცა, მაქვს ერთ-ერთი საკმაოდ რთული ნაწარმოები შესრულებული - მოცარტის „რონდო“, 2016 წლის 11 ივნისს, ვახტანგ კახიძის დირიჟორობით, გაიმართა ნიჭიერთა ათწლეულის ახალგაზრდული ორკესტრის და უფროსკლასელთა ორკესტრის სოლისტების კონცერტი, სადაც სამ სოლისტს შორის ვიყავი მეც და შევასრულე ბახის „ხუმრობა“ და მოცარტის „ანდანტე“, საკმაოდ რთული ნაწარმოებები. კონცერტმა ძალიან წარმატებით ჩაიარა, კონ-



ცერტს ესწრებოდა ლიანა ისაკაძე, კულტურის მინისტრი მიხეილ გიორგაძე და თბილისის მუსიკალური ელიტა. ვესწრებოდი ასევე ვლადიმერ სპივაკოვის კონცერტს, რომელიც „მოსკოვის ვირტუოზების“ ხელმძღვანელია. სხვათაშორის, მას აქვს მსოფლიოს ახალგაზრდული ორკესტრი, სადაც მიწვეული ჰყავს ქართველი ჩელისტი ლიზი რამიშვილი, მასთან თანამშრომლობაზეც, არც მე ვიტყოდი უარს.

- სკოლაშიც ისეთივე წარმატებული ხარ, როგორც მუსიკაში?
- ვსწავლობ თბილისის 43 საჯარო სკოლაში, მე-9 კლასის მოსწავლე ვარ. უდიდეს თანადგომასა და ხელშეწყობას ვგრძნობ სკოლის მხრიდან. მინდა, უდიდესი მადლიერება გამოვხატო კლასის დამრიგებელის, ქეთევან მამალაძისა და სკოლის დირექტორის, სოფო დედალამაზაშვილის მიმართ. ისინი ძალიან ამაყობენ ჩემი წარმატებებით და უდრმესი მადლობა მათ მხარდაჭერისათვის. ფლეიტას ძალიან დიდი ადგილი უჭირავს ჩემს ცხოვრებაში, თუმცა, ვცდილობ სასწავლო პროცესს ფეხი აუწყო. თავისუფალ დროს კითხვა მიყვარს, ფილმების ყურება, აქტიურად ვუსმენ კლასიკურ პროფესიულ მუსიკას.
- სამომავლო გეგმებზე რა გვეტყვი?



- სამომავლოდ, გვაქვს გეზი აღებული გერმანიისკენ. ძალიან მინდა, მოვხვდე ბერლინის და მიუნხენის კონსერვატორიაში, იმ ოთხი წლის განმავლობაში, რაც ნიჭიერთა ათწლეულში დამრჩა აქტიურ მასტერკლასებს მივიღებ ქალბატონი ლილიასგან, რომელიც დამაკვალანებს და კომპეტენტურ რჩევას მომცემს. აქვე გეტყვი, რომ თბილისში გაიმართება საერთაშორისო კონკურსი საორკესტრო საკრავებისა და აუცილებლად მივიღებ მონაწილეობას, დიდი დამპატივა ბულგარეთში და დაგეგმილი მაქვს იქ წასვლა.

- ნანუკა, ვინაა შენი კუმირი და რომელია „ოცნების სცენა“, რომელზეც დგომა ძალიან გსურს?

- ჩემი კუმირი არის ემანუელ პაიუ, იგი ფლეიტის მეფეა, მასთან შეხვედრის შთაბეჭდილებები დღემდე მომყვება. ასევე, მიყვარს ჯეიმს გელვეი, ბრიტან-



ელი ფლეიტისტი. ძალიან მინდა ბერლინის ფილარმონიაში დიდ სცენაზე დაუკრა. საერთოდ, გერმანული კულტურისკენ ვიხრები, აქტიურად ვსწავლობ გერმანულ ენას, კარიერის გაგრძელებასაც გერმანიაში ვფიქრობ. წარმატებას ვუსურვებთ პატარა ვირტუოზს. გზას დიდებისაკენ ის დაულაღავი შრომითა და ნიჭიერებით წარმატებით იკვლევს. ვიმედოვნებ, ერთ დღეს, როდესაც, სწორედ ის გახდება მსოფლიოს პირველი ფლეიტისტი, „ხაშურის მოამბე“ და პირადად მეც, სიამაყით განვაცხადებთ, რომ, ოდესღაც, ნანუკა გოლიაძე ჩვენი რესპოდენტი იყო.

თ. ახალკაცი

75 - ვულოცავთ - 75

შესანიშნავ პიროვნებას, ღირსეულ მამულიშვილს, ბრწყინვალე ოჯახის უფროსს და საუკეთესო მეგობარს გივი ხვედელიძეს ვულოცავთ 75 წლის იუბილეს. ჩვენო გივი, ნახევარ საუკუნეზე მეტია რაიონის ცხოვრების ეპიცენტრში ხარ. მართლაც ბევრი დამსახურება გაქვს ხაშურის წინაშე და ჩვენი ქალაქიც და მთელი მუნიციპალიტეტიც გულწრფელად გიფასებს ამ დღეებს. სიყვარულია ის ჯილდო, რომელიც მოგიდგნა მთელმა რაიონმა და ეს ჯილდო მხოლოდ ღირსეულების ხვედრია. მეოხად ვუდგებით უფალს, რომ ჯანმრთელობა და დიდხანს სიცოცხლე გიბოძოს, რადგან შენაირი პიროვნებები დღეს ძალიან, ძალიან სჭირდება როგორც ჩვენს მუნიციპალიტეტს, ისე სრულიად საქართველოს. კიდევ ერთხელ გილოცავთ!



მეგობრები

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27. E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499. **შ**-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.